ქალაქ თბილისის საკრებულოს

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი №47

14.08.2020 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. დავით რურუა - კომისიის წევრი;
5. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
6. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**16-032021971-03; 06.08.2020);**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032022667-03; 13.08.2020);**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია)

მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0320226109-03; 13.08.2020).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

მომხსენებლები:

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

1. **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-032021971-03; 06.08.2020).**

თ.ისაკაძე - წარმოდგენილი პროექტი შემუშავდა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე და აღნიშნულის დამტკიცების შემდეგ, მიწისქვეშა ზონალური პარკირების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა ისარგებლებს გარკვეული შეღავათებით.

ვ.აბულაძე - პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებულ წესში. კერძოდ, ცვლილება შედის წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტში და ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

3^2. ფიზიკურ პირს, რომელსაც მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება, უფლება აქვს ამ უძრავი ქონებიდან 100 მეტრის რადიუსში, ხოლო მიწისქვეშა პარკირების შემთხვევაში 250 მეტრის რადიუსში არსებულ ზონალურ პარკირების ადგილზე, იმ დროს როდესაც ზონალურ პარკირების ადგილზე პარკირება ფასიანია, ისარგებლოს უფასო პარკირებით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) თითოეული მიწის ნაკვეთის საკუთრებისას - მის მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე (თანასაკუთრების შემთხვევაში, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობს თითოეული მესაკუთრე);

ბ) თითოეული შენობა-ნაგებობის საკუთრებისას - მის მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე.“

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოცემული პროექტი შემუშავდა მიწისქვეშა ზონალური პარკირებისთვის განსაზღვრული ადგილების მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. მოსახლეობაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მიწისქვეშა პარკინგის შემთხვევაში 100 მეტრის რადიუსი არ იყო საკმარისი და საჭირო იყო არეალის გაზრდა, შესაბამისად დადგენილებაში ცვლილების შეტანის შემდეგ პირკირების ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მეტი მოქალაქე ისარგებლებს დადგენილი შეღავათით.

შ.ოგბაიძე - როდესაც ზონალურ-საათობრივი პარკირების წესი ამოქმედდება სხვა მიწისქვეშა პარკირების ადგილზე, გავრცელდება თუ არა აღნიშნული შეღავათი ახალ მისამართზე.

ვ.აბულაძე - შეღავათი შეეხება ახალ მისამართებსაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**16-032021971-03; 06.08.2020**) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032022667-03; 13.08.2020).**

თ.ისაკაძე - მომდევნო ორი საკითხი შეეხება M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტებში ცვლილებებს. ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია ილია ჭავჭავაძის გამზირზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრების და მოძრაობის ორგანიზებაში განსახორციელებელი ცვლილებებიდან გამომდინარე.

დ.ჯაიანი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში და დადგენილების პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს № 20.902.1124 განკარგულების პირველი პუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული

სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტები, დანართის შესაბამისად“.

ცვლილება ხორციელდება ავტობუსების (M3 კატეგორია) შემდეგ მარშრუტებში - **№5, №21, №58, №66, №82, №83, №87, №88.** უფრო კონკრეტულად:

- **მარშრუტები №5, №58, №82** - ბაგების მიმართულებით მოძრაობისას თამარაშვილის გამზირიდან ნაცვლად გიორგი წერეთლის ქუჩისა, იმოძრავებს ვაკის პარკისა და ჩოლოყაშვილის გამზირის გავლით.

- **მარშრუტები №21, №87, №88** - თამარაშვილის გამზირიდან ილია ჭავჭავაძის გამზირის მიმართულებით იმოძრავებენ თამარაშვილის გამზირის გავლით, ნაცვლად გიორგი წერეთლის ქუჩისა და ჩოლოყაშვილის გამზირისა.

- **მარშრუტი №83** - ბარნოვის ქუჩიდან ილია ჭავჭავაძის გამზირის მიმართულებით იმოძრავებს: მრგვალი ბაღი-რაფიელ ერისთავის ქ. - ზაქარია ფალიაშვილის ქ. - ნიკოლოზ ბერძენიშვილის ქ., ნაცვლად, ირაკლი აბაშიძის და ლადო კავსაძის ქუჩისა.

- **მარშრუტი №66** - იმის გათვალისწინებით, რომ ილია ჭავჭავაძის გამზირზე შეიზღუდა მარცხენა მოხვევა, აღნიშნული მარშრუტი სადგურის მოედნიდან მოძრაობისას ვარაზისხევის ქუჩიდან ირაკლი აბაშიძის ქუჩას დაუკავშირდება კორნელი კეკელიძის, ზაქარია ფალიაშვილის და დიდიმ მირცხულავას ქუჩების გავლით, ნაცვლად ილია ჭავჭავაძის გამზირიდან მარცხენა მოხვევით დიდიმ მირცხულავას ქუჩისკენ. უკუ მიმართულებისას - მარშრუტი ილია ჭავჭავაძის გამზირს მრგვალი ბაღიდან დაუკავშირდება რაფიელ ერისთავის, ზაქარია ფალიაშვილის და ბაზალეთის ქუჩით, ნაცვლად: ირაკლი აბაშიძის, დიდიმ მირცხულავას, ზაქარია ფალიაშვილის და ბაზალეთის ქუჩებისა.

რაც შეეხება **№29 მარშრუტს,** იმის გათვალისწინებით, რომ ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალას მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს განაშენიანება და ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, იცვლება მარშრუტიც, რომელიც სოფელ თხინვალას მიმართულებით მოძრაობისას, ლევან კვაჭაძის ქუჩიდან ნაცვლად

იოსებ კეჭაყმაძის ქუჩისა, იმოძრავებს: ფერმწერთა და ავთო ვარაზის ქუჩებით, რის შემდეგ მოძრაობას გააგრძელებს იოსებ კეჭაყმაძის და ლევან კვაჭაძის ქუჩების გავლით, ხოლო შემდგომ დადგენილი სქემით (მარშრუტი იმოძრავებს წრიულად).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032022667-03; 13.08.2020)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0320226109-03; 13.08.2020).

დ. ჯაიანი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: (www.matsne.gov.ge), 16/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016051) და დადგენილების პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს №20.903.1125 განკარგულების პირველი პუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტები, დანართის შესაბამისად“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №17-47 დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებები შედის ვაკის რაიონში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრების და მოძრაობის ორგანიზებაში ცვლილებების განხორციელებიდან გამომდინარე. უფრო კონკრეტულად ცვლილებები შედის M_2 კატეგორიის ავტობუსების შემდეგ მარშრუტებში:

- **№81, №218:** აღნიშნული მარშრუტები ბაგების მიმართულებით მოძრაობისას თამარაშვილის გამზირიდან ნაცვლად გიორგი წერეთლის ქუჩისა, იმოძრავებენ ვაკის პარკისა და ჩოლოყაშვილის გამზირის გავლით.

- **მარშრუტი №137,** აღნიშნული მარშრუტი თამარაშვილის გამზირიდან ილია ჭავჭავაძის გამზირის მიმართულებით იმოძრავებს თამარაშვილის გამზირის გავლით, ნაცვლად გიორგი წერეთლის ქუჩისა და ჩოლოყაშვილის გამზირისა.

- **მარშრუტები №4, №15, №73:** აღნიშნული მარშრუტები მიშველაძის ქუჩიდან ნაცვლად ზაქარია ფალიაშვილის ქუჩისა იმოძრავებენ ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე, ხოლო უკუ მიმართულებისას ნაცვლად ირაკლი აბაშიძის და ლადო კავსაძის ქუჩებისა, იმოძრავებენ მრგვალი ბაღი-რაფიელ ერისთავის ქ. - ზაქარია ფალიაშვილის ქ. - ნიკოლოზ ბერძენიშვილის ქუჩებზე.

- **მარშრუტი №120,** იმის გათვალისწინებით, რომ ილია ჭავჭავაძის გამზირზე შეიზღუდა მარცხენა მოხვევა, აღნიშნული მარშრუტი ილია ჭავჭავაძის გამზირიდან მიშველაძის ქუჩამდე მისასვლელად იმოძრავებს მიხეილ თამარაშვილის გამზირის, გიორგი წერეთლის ქუჩის და ქაქუცა

ჩოლოყაშვილის გამზირის გავლით. უკუ მიმართულებისას ირაკლი აბაშიძის ქუჩიდან ილია ჭავჭავაძის გამზირს დაუკავშირდება ნიკოლოზ ბერძენიშვილის ქუჩით.

- **მარშრუტი №44,** აღნიშნული მარშრუტი მიშველაძის ქუჩიდან ნაცვლად ზაქარია ფალიაშვილის ქუჩისა იმოძრავებს ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე.

- **მარშრუტი №128,** აღნიშნული მარშრუტი მიშველაძის ქუჩიდან ზაქარია ფალიაშვილის ქუჩაზე, ბოლო გაჩერებაზე მოხვდება ირაკლი აბაშიძის ქუჩის, მრგვალი ბაღის, რაფიელ ერისთავის და ზაქარია ფალიაშვილის ქუჩების გავლით; ხოლო უკუ მიმართულებისას ილია ჭავჭავაძის გამზირს დაუკავშირდება ნიკოლოზ ბერძენიშვილის ქუჩით, ნაცვლად ლადო კავსაძის ქუჩისა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0320226109-03; 13.08.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე